მეექვსე დამარცხება

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 31 ივლისი.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 2:1 (1:0).

“ფახთაქორი”: ფილატოვი, ივანკოვი, ენსი, მოგილნი, ბასოვი, ივანოვი, კორჩენოვი (აშოროვი), ანი, ვარიუხინი, ისაკოვი, ფიოდოროვი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭელიძე, გავაშელი (ლ. ნოდია), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, რეხვიაშვილი, გ. ნოდია, ესებუა.

მსაჯი: ა. ივანოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები – 3:0 “ფახთაქორის” სასარგებლოდ.

მასპინძლებმა სწრაფი, ენერგიული ეირიშებით დაიწყეს თამაში და მე–6 წუთზე ანგარიშიც გახსნეს: ისაკოვმა შუა მინდვრიდან წამოიწყო რეიდი, გავიდა რამდენიმე მოწინააღმდეგე მცველს შორის და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დაარტყა – 1:0.

შემდეგ “დინამომ” ხელთ იგდო ინიციატივა, ზედიზედ შექმნა სახიფათო მომენტები, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ მიაღწია მიზანს.

განახლდა თამაში მეორე ტაიმში და ძოძუაშვილმა თავისი კარის სიახლოვეს უხეშად ითამაშა ანის წინააღმდეგ, რისთვისაც მსაჯმა დანიშნა 11–მეტრიანი. ანიმ ზუსტად შეასრულა დარტყმა – 2:0.

25–ე წუთზე ასეთივე დარღვევა მოხდა “ფახთაქორის” საჯარიმო მოედანზე და ჭელიძემ პენალტით გაქვითა ერთი გოლი – 1:2.

თბილისის “დინამომ” კვლავ ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა ჩაატარა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი და მეექვსე დამარცხება განიცადა.

“ლელო”, 1 აგვისტო, 1974 წ.